თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 4 თებერვალი
მორიგი სხდომის
ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 4 თებერვალი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ნინო მახათაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15.გოჩა ვერულაშვილი, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, , 20. გიორგი თურქაძე, 21. მამული კოვზირიძე, 22.შალვა ჭანკვეტაძე, 23. გიორგი ბრეგაძე, 24. გიორგი ქასრაშვილი, 25. რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27. მანუჩარ ფანჩულიძე, 28. გიორგი ბერეკაშვილი, 29. ნოდარი ხოხიაშვილი, 30. ელისო მურადაშვილი, 31. გრიგოლ გიორგაძე. 32. ომარი ჯიხვაშვილი, 33. იუზა უგრეხელიძე, 34. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ყაზაიშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 34 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ავთანდილ ურიადმყოფელი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - დიანა ფოცხვერაშვილი.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12^{45} სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282602222, 22.01.2025 წ.);

   მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისი №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282603357, 02.02.2026 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282603357, 02.02.2026 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282603357, 02.02.2026 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

6. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282603357, 02.02.2026 წ.);

   მომხს.: ნ.ოქრუაძე

   თანამომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282603367, 02.02.2026 წ);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282603361, 02.02.2026 წ);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282603020, 30.01.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

10. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ტექნიკური შესწორების შესახებ;

მომხს.: ლ.ლანჩავა

11. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601410 განკარგულებაში ტექნიკური შესწორების შესახებ.

მომხს.: ლ.ლანჩავა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 5236,7 ათასი ლარით და შეადგენს 31858.4 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 5236.7 ათასი ლარით გრანტი.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 5236.7 ათასი ლარით. მ/შორის:
გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 4010.4 ათასი ლარით,
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა - 536.3 ათასი ლარით,
სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა - 690.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-34, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №31, 04/02/2026წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისი №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისი №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №37, 04/02/2026წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტი - დადგენილების მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებული ფუქნქციები დუბლირებულია დადგენილების მე-2 მუხლთან, რაც საჭიროებს გასწორებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №33, 04/02/2026წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ცვილელების მიზანია მერიის დებულებაში სამართლებრივი რეგულირების დახვეწა და ადამინისტრაციული პროცესების გამარტივება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №32, 04/02/2026წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - წარმოდგენილი ცვლილებით უქმდება გენდერის ფუნქცია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №35, 04/02/2026წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ოქრუაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილებას ემატება ნორმები, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით მონაწილე 14–25 წლის ასაკის (თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებმაც აღნიშნულ ტურნირებზე დაიკავეს I, II ან III ადგილი. ამასთანავე, ცვლილება ვრცელდება სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ მწვრთნელებსა და სპორტის სპეციალისტებზე, რომლებიც საქმიანობას ეწევიან ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7

ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №34, 02/04/2026წ.).

7.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №36, 02/04/2026წ.).

8.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29260354, 04/02/2026წ.).

9.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2926035001, 04/02/2026წ.).

10.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29260352, 04/02/2026წ.).

11.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601410 განკარგულებაში ტექნიკური შესწორების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601410 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29260353, 04/02/2026წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 4 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე